

# რეზო სტურუა (1941-2020)



ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პოეტი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასარგებლო წიაღისეულთა გამდიდრების მიმართულების სრული პროფესორი, ცნობილი ქართველი მეცნიერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, რევაზ სტურუა დაიბადა 1941 წელს, ლანჩხუთში. 1958 წელს, ოქროს მედალზე დაამთავრა ბათუმის მეექვსე საშუალო სკოლა. 1958 წელს, ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დასრულებისთანავე, განაწილებით მუშაობდა უზბეკეთში, ალმალიკის სამთო კომბინატში. 1965-67 წლებში მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების კათედრაზე ჯერ ლაბორანტად, შემდეგ ასისტენტად. 1967-70 წლებში სწავლობდა მოსკოვის სკოჩინსკის სახელობის სამთო საქმისა და მყარი საწვავი წიაღისეული ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1970-78 წლებში მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასარგებლო წიაღისეულის კათედრაზე თავდაპირველად ასისტენტად, შემდეგ დოცენტად. 1971-73 წლებში იყო

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა და სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე. 1973-74 წლებში სწავლობდა კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეც ფაკულტეტზე. 1970 წელს მოსკოვის მყარი საწვავის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1983 წელს ირკუტსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე სადოქტორო დისერტაცია. 1978 წლიდან 1992 წლამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების კათედრას. 1988 წლიდან 1991 წლამდე იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი სადამოსა და დაუსწრებელი სწავლების დარგში, 1991 -2004 წწ. ამავე უნივერსიტეტის პირველი პრორექტორი.

1985-1991წწ. რევაზ სტურუა იყო მადნეულის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე. 1993-1998წწ. ჭიათურა მანგანუმის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. 1996-98წწ. გაერთიანებული ქართული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 1998-2020წწ. საქართველოს სამთო საზოგადოების პრეზიდენტი. სიცოცხლის ბოლომდე იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების მიმართულების სრული პროფესორი, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.

რევაზ სტურუას სამეცნიერო-საინჟინრო მოღვაწეობის სფერო იყო სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება-მინერალური პროცესები. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა შავი და ფერადი ლითონების მადნების გამდიდრების ტექნოლოგიებთან ინტენსიური ენერგეტიკული

პროცესების კომბინირების მეცნიერული საფუძვლები, რაც პრაქტიკულად გამოიხატა ახალი მაღალეფექტური ტექნოლოგიების შექმნაში.

რევაზ სტურუას ხელმძღვანელობით ჩატარებული კომპლექსური კვლევის საფუძველზე განხორციელებულია სასარგებლო წიაღისეულის ფლოტაციის პროცესის ინტენსიფიკაციის სამეცნიერო პრობლემის თეორიული დებულების განზოგადება, დამყარებული ინტენსიური ელექტრონული ზემოქმედების გამოყენებაზე და შემუშავებულია პრაქტიკული რეკომენდაციები, რომელთაც აქვთ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა.

რევაზ სტურუას მიერ ჩატარებულია მრავალმხრივი კომპლექსური კვლევები ჭიათურის აუზის ღარიბი მანგანუმის მადნების გამდიდრების ტექნოლოგიური საქმეების ოპტიმიზაციის მიმართულებით. მიღწეულია მთელი რიგი ტექნოლოგიური და საინჟინრო პრობლემების გადაწყვეტა მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური ეკონომიკური ეფექტით.

პროფესორი რევაზ სტურუა იყო 145 ნაბეჭდი ნაშრომის, მათ შორის 28 საავტორო მოწმობის, 1 მონოგრაფიის და 4 სახელმძღვანელოს ავტორი. 1997 წელს გერმანიაში, ქ. აახენში გამართულ მინერალური პროცესების მსოფლიო მე-19 კონგრესზე, პროფესორი რევაზ სტურუა აირჩიეს მინერალური პროცესების მსოფლიო კონგრესების სამეცნიერო საორგანიზაციო მუდმივმოქმედი კომიტეტის წევრად. ასევე, იგი იყო რუსეთის აკადემიის სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

1996 წელს რევაზ სტურუა აირჩიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად. იგი იყო რუსეთის სამთო აკადემიის ნამდვილი წევრი, რუსეთის საინჟინრო აკადემიისა და ინფორმატიკის საერთაშორისო აკადემიის წევრი. ევროპის აკადემიის აკადემიკოსი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

## Rezo Sturua

(1941-2020)

Doctor of Technical Sciences, Professor, Poet.

A full professor of mineral resources enrichment at the Georgian Technical University, well-known Georgian scientist, and Doctor of Technical Sciences Revaz Sturua, was born in Lanchkhuti in 1941. In 1958, he graduated from Batumi #6 School with a gold medal. In 1958, he enrolled in the Faculty of Mining and Geology of the Georgian Polytechnic Institute. After graduating from university, he worked as a distributor at the Almalyk Mining Plant in Uzbekistan. In 1965-67 he worked at the Department of Mineral Enrichment of the Georgian Polytechnic Institute, first as a laboratory assistant, then as an assistant. In 1967-70 he studied at the post-graduate course of the Skochinsky Institute of Mining and Solid Fuels in Moscow. In 1970-78 he worked at the Department of Minerals of the Georgian Polytechnic Institute, first as an assistant, then as an associate professor. In 1971-73 he was the Chairman of the

Council of Young Scientists and Students Scientific Society of the Georgian Polytechnic Institute. In 1973-74 he studied at the special faculty of Kiev State University. In 1970 he defended his Candidate's dissertation at the Scientific Council of the Moscow Solid Fuel Institute, and in 1983, his doctoral dissertation at the Scientific Council of the Irkutsk Polytechnic Institute. From 1978 to 1992 he headed the Department of Mineral Enrichment of the Georgian Polytechnic Institute. From 1988 to 1991 he was the Vice-Rector of the Georgian Polytechnic Institute in the field of evening and absentee studies, in 1991-2004 he was the first Vice-Rector of the same University.

From 1985 to 1991, Revaz Sturua was the Chairman of the Advisory Board of the Ore Mining and Processing Plant; 1993-1998 Chairman of the Supervisory Board of Chiatura Manganese; 1996-98 Member of the Supervisory Board of the United Georgian Bank; 1998-2020 President of the Georgian Mining Society. Until the end of his life he was a full professor of mineral enrichment at the Georgian Technical University - chairman of the dissertation council of the Faculty of Mining and Geology.

Revaz Sturua's field of scientific-engineering activity was mineral processes. Under his leadership, the scientific basis for combining intensive energy processes with technologies for the enrichment of ferrous and non-ferrous metal ores was created, which has practically manifested in the creation of new highly efficient technologies.

Based on a complex study led by Revaz Sturua, the theoretical provision of the scientific problem of the mineral flotation process intensification, based on the use of intensive electronic impacts, has been generalized and practical recommendations of national economic importance have been developed.

Revaz Sturua has conducted multifaceted complex studies to optimize the technological cases of poor manganese ores enrichment in the Chiatura Basin. A number of technological and engineering problems have been solved with significant technological economic effects.

Professor Revaz Sturua was the author of 145 printed papers, including 28 copyright certificates, 1 monograph and 4 textbooks. At the 19th World Congress of Mineral Processes in Aachen, Germany, in 1997, Professor Revaz Sturua was elected a member of the Standing Committee of Scientific Organization of Mineral Processes World Congresses. He was also the Chairman of the Scientific Council for Mineral Enrichment of the Russian Academy.

In 1996 Revaz Sturua was elected a full member of the Georgian Academy of Engineering. He was a full member of the Russian Mining Academy, a member of the Russian Academy of Engineering and the International Academy of Informatics; Academician of the European Academy, Honorary Doctor of Batumi State University.

Revaz Sturua was awarded the Order of the Badge of Honour in 1988 and the Order of Honor in 1998. In 2011, the Georgian Technical University awarded him the Gogi Nikoladze Medal with the highest award. He has been awarded the Galaktion Tabidze Prize by the Georgian Writers' Union. And after his death the Akaki Tsereteli Prize for the poetry collection "The Dog Rose Blooms on The Other Side".